

“საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჯერ არ ამუშავდება, რამდენიმე თვის განმავლობაში ახად რეაღიარებაში მოგვინვეს ცხოვრება”

☒ საქართველოში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი 23 მაისს სრულდება. პრემიერის დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ 22 მაისის ჩათვლით მოქმედებს. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, მათ შორის, კომენდანტის საათი ხვად, 22 მაისსაც იმოქმედებს და 23 მაისიდან მოიხსნება.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გაგრძელდეს საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად, კომენდანტის საათი.

მისივე თქმით, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მიუხედავად, საჭიროა ედემენტარულ წესების დაცვა, რომლებიც „მოგვცემს შესაძლებლობას, შევადგინოთ და ვმართოთ ვირუსის განვითარების ტემპი“. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შესამუშავებლად, მთავრობამ პარლამენტს უკვე მიმართა.

„ჩვენ ამ თხოვნით მივმართეთ პარლამენტს, ეს მუშაობა ახლა მიმდინარეობს და იმედია, გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვის სფეროსთვის, იქნება შენარჩუნებული“, – დასძინა გიორგი გახარიამ.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამუშავებას, ეს საკითხი დაკავშირებულია ეპიდემდგომარეობასთან.

„საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამუშავებაზე ჯერ საუბარი არ არის.“

ეს ყველაფერი, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც შეზღუდვა. ეს არის ის რეალობა, რა რეალობაშიც ჩვენ შემდეგი რამდენიმე თვის განმავლობაში მოგვიწევს ცხოვრება. ეს არ არის მხოლოდ საქართველოში. ეს არის მთელს მსოფლიოში.

გვაქვს ახალი რეალობა, რომელიც არის კონცენტრირებული და ორიენტირებული COVID 19-ის კონტროლზე და მექანიზმებზე. ეს არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც შეზღუდვა, ეს არის ხერხეწყო იმისა, რომ ქვეყანაში არ გვქონდეს ეპიდემიოლოგიური ხერხეწყო და ქვეყანაში რაც შეიძლება დაბალი იყოს დაავადებულობის რაოდენობა.

შესაბამისად, ამის მენეჯმენტიც იყოს ადეკვატური. ეს არის ყველა ნაბიჯი, რომელიც ქმნის საშუალებას, რომ როგორც სწრაფად, ოპერატიულად და შედეგიანად შევძელით COVID 19-ის მართვა, ასევე სწრაფად და ეფექტურად შევძლოთ ჩვენი ეკონომიკის გახსნა და ჩვეურ რეჟიმში დაბრუნება. მაგრამ ეს ჩვეულებრივი რეჟიმი იქნება განსხვავებული რეჟიმი, რომლის გათვარისწინებაც ყველას მოუწევს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ირაკლი ჩიქოვანმა.